თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

ქ. თელავი 2019 წლის 24 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, თელავის მუნიციპალიტეტს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის: უფროსი გიორგი თავბერიძე, განყოფილების უფროსი დიმიტრი ზაქაიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1."თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ".

მომხს.ა.შათირიშვილი

2. „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ".

მომხს.ა.შათირიშვილი

1.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ითხოვს ქ. თელავში თამარის ქN36-ბ-ში მდებარე 8 ერთეული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში აღნიშნული ბინების იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

გიორგი ჩაბრაშვილმა აღნიშნა, რომ ე.წ. „ლეგიონის ბინებში" მრავალი წელია ცხოვრობენ ეს ოჯახები, გასულ წელს ანალოგიურად მოხდა ამ ლოკაციაში მაცხოვრებლებისთვის ბინების გადაცემა, ის ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და დააყენა წინადადება საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენის თაობაზე.

გ. ჩაბრაშვილის წინადადებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. **მოისმინეს:** „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ" პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: დიმიტრი ზაქაიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ არის საერთო სარგებლობაში და არის შეფასებული აუდიტის მიერ, საჭიროა მისი საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა.

ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ა.შათირიშვილის წინადადებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ" წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ა. ალექსანდრე შათირიშვილი